საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (პარლამენტის უწყებანი, №13, 7.06.96, გვ. 12) დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^1 მუხლი:

„მუხლი 26^1

1. საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

2. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქართველოს სახალხო დამცველსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები (მათ შორის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სხეულის დაზიანების მიღებასთან ან დაღუპვასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის გარანტიები).

3. საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ექვემდებარებიან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**

თბილისი,

29 აპრილი 2025 წ.

N507-IIმს-XIმპ